№ 67 აპრილი 4, კვირა — 1893 — აპრილი 4, კვირა № 67

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკისა ამით აუწყებს ამ ბანკის წევრთა დამფუძნებელთ და მსესხებელთა, რომ ბანკის წესდების § 82 ძალით, 20 აპრილს ამ 1893 წელს, დილის 10 საათზედ, საადგილ-მამულო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, დანიშნულია საერთო კრება.

განსახილველი საგნები საზოგადო კრებისა:

1, განხილვა და დამტკიცება ბანკის 1893 წლის ანგარიშისა.

2, განხილვა და დამტკიცება დაფასებათა ინსტრუქციისა.

3, განხილვა და დამტკიცება 1893 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4, მოხსენება იმ საჭიროებათა შესახებ, რომელთაც უნდა მოხმარდეს საზოგადო საჭიროებისათვის წმინდა მოგების 35°/₀-ით შემდგარი თანხა.-

5, განხილვა სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათა თხოვნებისა შემწეობის მიცემის შესახებ.

6, მოხსენება იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იხარჯებოდეს საზოგადო საჭიროებათათვის გადადებული თანხა.

7, მოხსენება; რომ შეიცვალოს წესდების ის §§-ები, რომელიც ბანკის საყოველ-შემთხვევო (ექსტრა-ორდინარნი) თანხას შეეხება.

8, მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკს ნება ჰქონდეს სესხი მისცეს ქალაქებს, ერობას და საზოგადო დაწესებულებათ მამულის დაუგირავებლად.

9, არჩევანები: მმართველობის ერთის წევრისა, თ. გიორგი იორამის ძის თარხნიშვილის მაგიერ, რომელმაც რიგით თავი უნდა დაანებოს სამსახურს, და ერთის კანდიდატისა; დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, სამაგიეროდ ვ. სულხანიშვილისა და თ. ლ. ჩერქეზიშვილისა, რომელნიც რიგით თავს ანებებენ სამსახურს, და ორის კანდიდატისა.

(3—3)

ქართველთ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ განიზრახა მაისში გამართოს სცენის მოყვარეთათვის.

**გამოსაცდელი წარმოდგენა**

ვისაც სურს დრამატიულ დასში მონაწილეობის მიღება მომავალ ზამთრის სეზონის დროს, მმართველობა იწვევს თავისი სურვილი წერილით აცოდინოს მაისის პირველამდე და მასთან თავისი სრული ადრესი. რეპეტიციების დრო გამოცხადებული იქმნება «ივერიაში» და «კვალში.» წერილები უნდა წარმოეგზავნოს მმართველობის მდივანს პეტრე იოსების ძეს უმიკაშვილს, ტფილისს, ანჩისხატთან, ბაგრატიონის ქუჩა, სახლი ლვინიევისა № 15 Б.

(2—1)

ტფილისი, 3 აპრილი

უწინდელი საბჭო მი ჭიოზნობით ანდობდა გამგეობას ქალაქის ფულებსა და ხუთი-ექვსის წლობით ანგარიშსაც არა სთხოვდა. ახალმა საბჭომ-კი უთხრა—დაუყოვნებლივ ჩამაბარე ანგარიშები, რა ფული გიჭირავს დღეს ქალაქისა ხელშიო, და დაუყოვნებლივვე ამოარჩიე კომისია, რომელმაც უნდა შეატყობინოს დაწვრილებით საბჭოს, თუ რა გიმოქმედნია წარსულ ექვსის წლის განმავლობაში, რა აგიღია მოქალაქეთაგან და რაში ან როგორ გიხარჯავს ქალაქის შემოსავალიო. ეს არ აკმარა ახალმა საბჭომ და კანონად დაუდვა გამგეობას, რომ დღეის იქით არავითარის ხარჯის გაწევა არ შეგეძლოს, ვიდრე შენი მეთვალ-ყურე, საფინანსო კომისია, ნებას არ დაგრთავსო.

ამ სახით, თუმცა გამგეობასა ჰყვანდა საბჭოში 35 მომხრე ხმოსანი და ბრმა კენჭის რაოდენობით გა მარჯვა თანამდებობათა განაწილებაში, მაგრამ ზნეობრივი გამარჯვება პირველსავე ნაბიჯის გადადგმაზედ ახალმა საბჭომ დაულოცა ახალს ოპოზიციას. ხოლო სიხარულით აჭაცებული გამგეობა ვერ მიუხვდა საქმის ვითარებას, და ამ მიუხვედრელობამ კარგა ხანი გასტანა. ოპოზიციას-კი არ ეძინა. იგი ყოველსავე თავის ნაბიჯს წინადვე ჰზომავდა, უთანხმებდა საქმის ავ-კარგიანობას და ჰმოქმედებდა სრულის ცნობიერობით. ეხლა საქმე ის იყო, თუ ვინ მოჰყვებოდა ან საფინანსო კომისიაში, ან სხვა მრავალ მოსამზადებელ კომისიებში. უკეთუ ამა კომისიის წევრებად საბჭო ამოირჩევდა გამგეობის მომხრე კაცებს, მაშინ გამგეობა კვლავინდებურად ძრიელი იქმნებოდა და ოპოზიციას ჰხვდებოდა მარტო კრიტიკული განხილვა საბჭოს მორიგ საქმეებისა, და უკეთუ კომისიის წევრებად ჩაერეოდნენ ოპოზიციის წარმომადგენელნი, მაშინ კრიტიკის გარდა, ოპოზიციას მიენიჭებოდა უფლება ყოველ საქმეში საკუთარის წესისა და რიგის შეტანისა. გამარჯვებული გამგეობა არ ჩაუფიქრდა ასეთს მნიშვნელობას კომისიებისას და თითქმის სრულებით მოუმზადებელი დაუხვდა საქმეს. რაიცა შეეხებოდათ მის მომხრეებს, იმათ ხომ აზრადაც არ მოჰსვლიათ, რომ კომისიებს შესძლებოდათ რითიმე ხელის შეკვეთა გამგეობისა. მომხრენი გამგეობისა მხოლოდ იმ აზრს ადგნენ მტკიცედ, რომ ჯამაგირიანი ადგილი არ გაჰპარვოდათ ხელიდგან, თორემ უჯამაგირო ადგილზედ დიდის სიამოვნებით აირჩევდნენ გინდ ქართველს, გინდ სხვა ტომის კაცს—რა გვენაღვლება მუქთად ემსახუროს ქალაქსაო, ოღონდ ჯამაგირიანი ადგილები ხელიდამ არ წაგვივიდესო.

ახალ საბჭოს თავის მესამე კრებაზედ, ე. ი. 28 იანვარს 1881 წ., უნდა ამოერჩია კომისიათა წევრნი და სხვათა შორის წევრნი საფინანსო და სარევიზიო კომისიათა. კრებას დაესწრო 57 ხმოსანი. საფინანსო კომისიის წევრებად ხმის უმეტესობით ამოირჩეულ იქმნენ: ხმოსანი ალიხანოვი და ცხრა წარმომადგენელი ოპოზიციისა, მათში ხმოხანნი—ზუბალაშვილი, ნიკოლაძე, თამამშოვი, მიქელაძე და სხვანი. ხმოსანმა ალიხანოვმა უარი განაცხადა კომისიის წევრობაზედ, ან რას გახდებოდა ერთი კაცი იმოდენა ოპოზიციელებთან! ამის გამო მთელი საფინანსო კომისია ოპოზიციელთაგან იქმნა ამორჩეული. ასეთივე საქმე დაემართა გამგეობას სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანში. ხუთი კაცი უნდა ამოერჩიათ ამ კომისიაში და ისე მოხდა, რომ ხუთნივე ოპოზიციის წევრნი მოჰყვნენ.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით დანარჩენ კომისიათა არჩევანებს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მხრივ გამგეობა და მისნი მომხრენი სრულებით მოუმზადებელნი დაჰხვდნენ ამ საყურადღებო საქმეს და ოპოზიცია-კი ერთს ნაბიჯსაც არა სდგამდა მოუსაზრებლივ. მოსამზადებელი კომისიები და თვით სამოსწავლო კომისია შესდგა სულ ოპოზიციელთაგან.

როდესაც გათავდა არჩევანები, გამგეობა მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და თითზედაც იკბინა, მაგრამ რაღა დროსი იყო—კომისიები კიდეც შეუდგნენ თავიანთს საქმეს, გამგეობას ერთიან ჩამოეცალა ფრთები და ჩამოჰყარა მან ყურები.

თებერვლიდგანვე ჩაუსხდნენ კომისიები თავიანთ საქმეს. ყველაზედ უფრო შემძლე და მნიშვნელობიანი კომისია გამგეობისათვის იყო საფინანსო, რომელიც ცხარედ შეუდგა საქმის შესწავლას და გაჩხრეკას. თითქმის ყოველ დღე მეხივით დაეცემოდნენ კომისიათა წარმომადგენელნი გამგეობას და ხან ერთის საგნის საბუთებს ედავებოდნენ, ხან მეორისას. კომისიებმა ერთიან შეჰკრეს და შებოჭეს გამგეობა, რომელსაც აღარ დაუტოვეს იოტის ოდენა ასპარეზი თავისუფალის მოქმედებისა. კომისიებს მოუნდნენ არა თუ წევრნი გამგეობისა, არამედ თითქმის ყოველი მოხელე კანცელარიის თუ ბუღალტერიისა, რომელნიც უფრო კომისიათა ხელში აღმოჩნდნენ, ვიდრე თავიანთ პირდაპირ უფროსების ბრძანებლობის ქვეშ.

იმავ წლის თებერვლიდგანვე მოკიდებული, სწორედ საბრალო სანახაობას წარმოადგენდა გამგეობა, რომლის გამარჯვებას ასე უდროვოდ და უადგილოდ დღესასწაულობდნენ მისნი მომხრენი წინა თთვეს. ძლევა-მოსილობას შეჩვეული გამგეობა, რომელიც თორმეტის წლის განმავლობაში თითქმის ბატონი იყო საბჭოსი, ახალმა საბჭომ ერთიან მოხარა წელში. იგი ბრალდებულივით იჯდა თავის საბატონო ადგილზედ და პასუხის გებას ვერ ასწრობდა თავის მოქმედების შესახებ და სულ დაჰკარგა კვლავინდებური რიხი და კადნიერება. კომისიებმა იმოდენა სიცოცხლე გამოიჩინეს, ისეთი შორს გამჭვრეტელობა და საქმიანობა, რომ დასძალეს გამგეობა, რომელიც უდროო გამოჩნდა, მათის კრიტიკისათვის ანგარიში გაეწია. ამ სახით რაკი ნიჭიანნი და შემძლე ხმოსანნი ჩამოეცალნენ გამგეობას, აი მას აქედ მესამე წელიწადია, არავითარი ახალი აზრი არ შეუტანია მას საბჭოში, არავითარ ახალ საგნისთვის არ წაუტანებია ხელი, არაფერში აღარ გამოუჩენია ცხოველს-მყოფელი ინიციატივა.

აი მიზეზი იმისი, რომ ბატონობას შეჩვეულმა გამგეობამ ვეღარ აიტანა ასეთი საშინელი დამცირება, ასეთი დაჩრდილვა, და ორის თთვის მოურაობის შემდეგ ა. ს. მატინოვმა დაანება თავი საზოგადო მოღვაწეობას და კერძო სამსახურში გადავიდა. მკითხველი ჰხედავს, რომ ნ. ი. ნიკოლაძემ

# ფელეტონი

№ 8 „ზ უ რ ნ ა“ № 8

„ზურნის“ სამეცნიერო მატიანე

სამეცნიერო „კვალის“ მემატიანე სჩივის, ძველს დროს მატიანე ურიგოდ იწერებოდა და ამის მიზეზი ის იყო, რომ ყურადღებას არ აქცევდნენ ყოველს წვრილმანს მოვლენასაო. დრონი იცვალნენ, ისტორიამაც გზაკვალი იცვალა და ეხლა საისტორიო მასალად წვრილ-წვრილი ამბები უნდა იბეჭდებოდესო. მერე მემატიანე ასე დასძენს: «ადვილად წარმოსადგენია, რომ ასსა და ორას წელს შემდეგ ისტორიკოსებმა დიდი გულმოდგინებით გადაათვალიერონ წვრილ-წვრილი ამბები გაზეთებსა და ჟურნალებში გაბნეულნი და ამ საფუძველზედ შეადგინონ ჩვენის ცხოვრების განვითარების ისტორიაო» („კვალი“, № 12). დიაღ, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველებაა! მხოლოდ საჭიროა, რომ «კვალმა“, რაც შეიძლება, უფრო მეტად თავის „გული-პასუხისავით“ წვრილ-წვრილი ამბები ბეჭდოს. ამითი დიდს ღვაწლს დასდებს ჩვენს საისტორიო მატიანეს და ნეტავი იმას, ვინც „ასსა და ორასს წელს შემდეგ“ წაიკითხავს „კვალის“ წვრილ-წვრილ ამბებზე დაფუძნებულს „ჩვენის ცხოვრების განვითარების ისტორიას“! რამდენ სამეცნიერო თვალ-მარგალიტს შეხვდება! ნეტავი ჩვენც მოვესწროთ იმ ისტორიის წაკითხვას!...

**

სტატისტიკა, როგორც მეცნიერება, იძიებს და იკვლევს იმ მიზეზებსა და კანონებს, რომელთაც ექვემდებარებიან სხვა და სხვა საზოგადოებრივი მოვლენანი. ეს უკანასკნელნი შეადგენენ სასტატისტიკო მასალას და არა თვით მეცნიერებას. „კვალის“ მემატიანეს ვერ განურჩევია მეცნიერება და იმისი მასალა ერთი-ერთმანეთისაგან. ეს კიდევ არაფერი: მსხვილ-ფეხოვანს მეცნიერს სტატისტიკა არითმეტიკის „ნახატათ» მოსჩვენებია და ასე განმარტავს: «არის ერთი მეცნიერება, სტატისტიკას ეძახიან, რომელსაც მხოლოდ (ისიც მხოლოდ!) ციფირებთან აქვს საქმე და ყოველ საზოგადო მოვლენას ციფირითა ნიშნავს» („კვალი“ № 13). საჭიროა, ჩვენის ცხოვრების განვითარების მომავალმა ისტორიკოსმა ამ სამეცნიერო სიბრძნესაც ყურადღება მიაქციოს. ამით ნათელს მოჰფენს „კვალის“ ბრწყინვალე მსხვილ-ფეხობის გონებრივს ვინაობასა...

ლილიპუტი

(შემდეგი იქნება)

## სულ ახალი

„ვეფხის ტყაოსანი“, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის

(მიბაძვა გ. იოსელიანისა)

ერთი ვინმე იყო... ეს იყო,—იცით ვინა?—არაბეთის მეფემ როსტევანმა. იმას ჰქონდა ერთი ქალი. ვა, მერე ისეთი ლამაზი, ისეთი რომა, მზეთ-უნახავი! ეს მეფე ჰყვანდა ერთი პლუტი სპასალარმა, სახელად ავთანდილმა. ეს ლაფუსტაკი ავთანდილი და როსტევანი ნადირობაში დაიჭიდნენ: აი როგორც ჩვენი გლდანელი ჭიდაობს ხოლმე. მერე, ავთანდილმა აჯობა, გალახა რაღა სალსალამათი კაცი! ამ დროს, ბიჭებო, ერთი ახმახი ვინმე ნახეს, აის ტარიელი, ვეფხის ტყაოსანი.

მეფემ სთქვა, თუ აბა ერთი დაიჭით და აქ მომგვარეთო. მაგრამ, ხელი აიღეთ: იმას ვინ დაიჭერდა! ერთი გააჭენა იმ მამაცხონებულმა, დღესაც მირბის...

ჩვენმა მეფემ ძალიან დაღონდა. სთქვა, თუ არ გავიგე, ის ვინ იყო, მოვკვდებიო.

ამ დროს იმ სულ-ნათელი თინათინი,—როსტევანის ქალმა რაღა!—დაუძახა ავთანდილს:

— ჰა, უთხრა, აბა, თუ ის კაცი მამგვრი, შენი ცოლმა ვარ, თუ არა და, იცოდე, ბევრნი მთხოულობენ, აი!

— ვა, თინათინჯან, უთხრა, წავალ, ვიშოვნი რაღა! ახარ, მაგისთვის როგორ გაწყენინებ.

ახალი რუსთაველი

(გაგრძელება იქნება)

ტყუილად არა ჰკითხა მოურავად ამორჩევის დროს ა. ს. მატინოვს—ნუ თუ ამისთანა არჩევანების შემდეგ კიდევა ჰკისრულობთ ქალაქის მოურაობასაო?

დარჩნენ ობლად პ. ა. იზმაილოვი და ე. ე. ხოსროევი. ეს ობლობა მით უმეტეს იყო საგრძნობელი, რომ საბჭოში თვით მომხრენი შემოეფანტნენ გულ-დაკოდილ გამგეობას და ჩაუგდეს იგი გასაწეწად ნ. დ. ზუბალაშვილის ბასრსა და მახვილ ენას. მაგრამ მაინც გამგეობის მომხრენი დიდს საგონებელში ჩააგდო ა. ს. მატინოვის გაქცევამ. იმათ შემოიკრიბეს უკანასკნელი თავიანთი ღონე, რომ აღედგინათ კვლავინდებური ძლიერება გამგეობისა. მათის შეხედულობით ამ ძლიერების აღდგენა შესაძლებელი შეიქმნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოურავის ადგილს დაიჭერდა პ. ა. იზმაილოვი. ბ-ნ იზმაილოვის გამოურავებას მოახმარა მთელი თავისი ძალა ამ ნაწილმა საბჭოსამ და კიდევაც შეისრულებდა ამ წადილს, რომ დიდი ხერხი არ ეხმარა ოპოზიციას, რომელმაც თავის კანდიდატად არ გამოაცხადა ქართველი კაცი, რადგან საბჭოს უმეტესობას ქართველის აჩრდილზედაც-კი კანკალი და ცახცახი მოსდიოდა. ოპოზიციამ გამოაცხადა კანდიდატად თავადი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ამით თითქმის ერთი მესამედი ნაწილი გამგეობის მომხრეებისა ჩამოაცალა პ. ა. იზმაილოვს. 25 მარტს 1891 წლისას მოჰხდა არჩევანი ქალაქის მოურავისა. დაიდგეს ყუთები პ. ა. იზმაილოვმა და ნ. ვ. არღუთინსკი დოლგორუკოვმა. პირველმა მიიღო 29 თეთრი კენჭი და 33 შავი, ხოლო მეორემ—42 თეთრი და 21 შავი კენჭი.

ამ სახით ქალაქის მოურავად ამოირჩია საბჭომ თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

მოქალაქე

# ახალი ამბავი

*** წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის საქველ მოქმედო საზოგადოება აცხადებს მოწაფე ქალთა მშობლებისა და ნათესავების საყურადღებოდ, რომ ვისაცა სურს თავისი ქალი ან ნათესავი ამ ზაფხულს აგარაკად კოჯორში ამყოფოს, უსათუოდ 20 აპრილამდე უნდა აცნობოს ზემოხსენებულ საზოგადოებას და თანაც ჯეროვანი ფასი შეიტანოს.

*** ბ-ნ კ. დ. ყიფიანს შეუდგენია ახალი საბოტანიკო ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, რომელსაც უძღვნის თ. ნ. დ. მინგრელსკის. თ. მინგრელსკისა სურს თვითონ გამოსცეს ეს ლექსიკონი.

*** მომავალ კვირას მოხდება კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრება სხვათა შორის განიხილავს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც შეიმუშავა ზემოხსენებულ საზოგადოების მიერ ამორჩეულმა საგანგებო კომისიამ.

*** ტფილისის საზაფხულო თეატრში მომავალ სეზონისათვის იქნება ახალი რუსულ-იტალიანური საოპერეტო დასი. ამ თეატრის ანტრეპრენერი ბ-ნი ფორკატი მოელაპარაკა ცნობილ დირიჟორ ტრუფფის, რომელმაც უნდა შეადგინოს ეს დასი. იმედი აქვთ, რომ ამ დასში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნები: მონტებიანკი, ზოლოტნიცკი, კარტავანი, ნევიცკი და კაპლანი, ტენორები: ვ. ნ. ლიუბიმოვი, მედვედიევი, ნიკოლაევი და დუვიკლერი, ბასი ბ-ნი სანგურსკი და სხვა...

*** გუშინ, 2 აპრილს, შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნია ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ბ-ნს ფრიდეს სახაზინო რკინის გზების სამმართველოს თავმჯდომარესათვის: ბორჯომის გზის გამოკვლევა ამ დღეებში გათავდება, თუ ახალციხის რკინის გზის გამოკვლევას შემოდგომისათვის გადავდებთ, მაშინ შეგვიძლიან ამ აპრილის გასულს დავიწყოთ ჩვენის ინჟინერების შემწეობით კახეთის რკინის გზის გამოკვლევა და გავათავოთ გამოკვლევაცა, პროექტის შედგენაცა და დაფასების გეგმაცა სექტემბრის პირველისათვისაო. ამ ვადაზე საქმის გათავების თანხმაა თავად-აზნაურობის წინამძღოლიცა. გამოკვლევისათვის საჭირო ფული ჩემს სახელზე იქმნება შეტანილი ბანკში თავად-აზნაურობის მიერ. შემატყობინეთ დეპეშით, თუ თანხმა ბრძანდებით ამისაო.

*** რადგანაც მარტში ცივი ამინდი იყო და თუთის ფოთოლი ჯერ არ გაშლილა, ტფილისის სააბრეშუმო სადგურში, რომელიც მუშტაიდშია, ჯერ აბრეშუმის ჭიის თესლის გაცოცხლებას არ შესდგომიან და ჰფიქრობენ აპრილის მეორე ნახევარს ადრე არ მოხერხდებაო.

*** პროფესსორ ვ. ვ. ლატიშევს განუზრახავს გამოცემა უძველეს მწერალთა ნაწერებისა, რაც სკვითების ქვეყანას და კავკასიას შეეხება. ორ ტომში მოექცევა ყოველივე ამ ნაირი ნაწერი მე-IV საუკუნემდე. შემდეგ მოჰყვება კრება ბიზანტიელთა ნაწერისა ამავე საქმის შესახებ. პირველი ტომი უკვე გამოვიდა ამ სათაურით: Scythica et Caucasica e veteribus graecis et latinis collegit et cum versione rossica edidit. Bas. Latyschev. აქ მოყვანილია ცნობები ბერძნების ძველ მწერლობიდამ ბერძნულად და თარგმანით. მეორე ტომში რომაელთა მწერლების ნაწარმოები დაიბეჭდება ლათინურად და თარგმანით.

*** ქალაქში მრავალი ტივი ჩამოუტანიათ და იაფადაც იყიდება. იაფობის მიზეზად იმასაც ამბობენ, რომ აქნობამდე აგურის მექარხნეები ტივსა ხმარობდნენ შეშად აგურის გამოსაწვავად და ეხლა-კი ბევრი ქარხანა ისე გადუკეთებიათ, რომ მაზუტით იწვის აგური და შეშა აღარ სჭირდება.

*** პეტერბურგი, 26 მარტი: ჩვენ თანამემამულეს პლატონ მიხეილის ძეს კაკაბაძეს გაუსინჯა ხმა სიიმპერატორო დირექტორის განკარგულებით ცალკე კომისიამ ჯერ როიალის აკკომპანიმენტით და მერე ორკესტრისა. ხმის-გასასინჯად იყვნენ სხვებიცა, მაგრამ გაზეთებმა მოუწონეს უფრო ხმა ბ-ნ კაკაბაძეს, ტკბილი და სასიამოვნო ტენორი ჰქონიაო. მისის ხმის მწვრთნელს პროფესორს ბ-ნს სონკის 10 აპრილს აქვს დანიშნული კონცერტი, რომელზედაც უნდა მონაწილეობა მიიღოს ბ-ნმა კაკაბაძემაც. მუსიკის მოყვარულნი დიდის სიამოვნებით ელიან ამ დღეს და ეხლავე აჩქარებით იყიდება ბილეთები.

ამ მოკლე ხანში გადასწყდება გაჰგზავნიან თუ არა ბ-ნს კაკაბაძეს იტალიაში ხმის უკედ გასავარჯიშებლად და მუსიკის შესასწავლებლად.

*** ახალციხე, 31 მარტი. 30 მარტს მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი ახალ ნაწილში. ვიღაც ბოროტ-მოქმედმა დაარჩო და მერე ფოცხოვში ჩააგდო ერთი ახალგაზდა სომეხი, რომელიც შენიშნეს დილას წყლის ამოღების დროს ერთმა სალდათმა და ბიჭმა ხიდს ქვემოდ, სადაც პირუტყვს ჰხოცავენ, მორევში. ბიჭმა გამოათრია ნაპირისკენ ისე, რომ ნახევარ-ტანი ისევ წყალში დაურჩა და ნახევარი მიწაზედ. თავზე პალტო მოეხვიათ და ისე ჩაეგდოთ წყალში. როგორც იყო შეატყობინეს ათის თავს (დესიატნიკს), რომელიც საჩქაროდ გაიქცა ბოქაულთან შესატყობინებლად. მოვიდა ბ-ნი ყორღანოვი და ნახევარ საათის შემდეგ ბოქაულის თანაშემწეც. ვერავინ იცნო, თუ ვინ იყო დამჩვალი. ბოლოს მოირბინა ერთმა დედაკაცმა, დამჩვალის დამ, წივილ-კივილით და მორთო საზარელი ტირილი. თითქმის ყველამ გაიგო ახალ-ნაწილში და მოზღვავდა ამ ადგილას აუარებელი ხალხი. აქვე მოვიდნენ: მაზრის უფროსი ბ-ნი ალანდერი, ქალაქის მოურავი, გამომძიებელი და ექიმი გამრეკელი. შეადგინეს ოქმი და მკვდარი იქვე სამჰედლოში შეასვენეს. კისერზე ნიშანი ჰქონდა, რომ ჯერ დაერჩოთ და მერე წყალში ჩაეგდოთ. უბედური ბათუმში მუშაობდა ქარხანაში და სააღდგომოდ მოსულიყო შინ.

*** იქიდამვე: ამ ჟამად აქ არეულ-დარეული ამინდებია. ხან თოვლი მოდის, ხან ცხელა და ხან სიცივეა, როგორც მარტს შეეფერება. 29 და 30 მარტს საცეკვაო საღამოები იყო სამხედრო და სამოქალაქო „კლუბებში". ბედნიერი დღეები მაშ აბა როგორ გაგვეტარებინა. მხიარულად იყვნენ მეტადრე აქაური ქალები. აქაურს ფრანგებს მოუვიდ თ ცუდი საქმე და მხიარულებისთვ ს ველარ მოიცალეს სააღდგომოდ: წირვა-ლოცვა უცხო ენაზე, რომლისაც, როგორც მე ჩინურისა, ისე იმათ არა გაეგებათ-რა.

*** ამას წინედ ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, რომ სოფ. ქოპორტში, ზაკაროში და წინამძღვარიანთ-კარში ყელ-ჭირვება მძვინვარებს, და წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში სწავლაც შესწყდაო. როგორც დუშეთის სამაზრო ექიმს გამოუკვლევია სოფქოპორტში და ზაკაროში მოსპობილა ეს სენი, წინამძღვარიანთ-კარშიკი ისევ არის და ამ ჟამად 6 მოწაფეა ავად.

*** „Кавказъ"-ს შეუტყვია, რომ რკინის გზის საკომერციო აგენტის ბ-ნ რადცივის მოადგილედ დანიშნულია ბ-ნი ანდრეევიო.

*** მომავალ არჩევანებისათვის უკვე დაიწყო აგიტაცია. 31 მარტს ქალაქის მოურავად ნამყოფ ა. ს. მატინოვს მიუწვევია Дворцовые номера-ში 50 ამომრჩეველი; მისულა ხოლოდ 33. კრებამ ამოირჩია საარჩევანო კომიტეტი, რომელიც 11 წევრისაგან შესდგება. ამ კომიტეტში მოჰყვნენ: ა. ს. მატინოვი, გ. გ. ევანგულოვი, ა. თ. და ნ. ს. ფრიდონოვები, კ. ჰ. ალიხანოვი, ე. ა. დავიდოვი; ექიმები: მალინინი და ოდნოსუმოვი, პ. კ. მელიქ კარაკოზოვი, მ. ი. დოლუხანოვი და ნ. ს. ფედოროვი («Новое Обозр.»).

## სახელდახელო

(ყბად-აღებული—წყალ-წაღებული ამბავი)

Такъ ложная мудрость
Мерцаетъ и тлѣетъ...

პუშკინი

პა-პა პა-პა! ახლა, რა ჭკვიანი და ბრძენი ხალხია ეს „კვალის" მსხვილ-ფეხობა, განა იცით? არა, თქვენ არ იცით, მხოლოდ გაგიგონიათ, ფეხის ხმას აჰყოლიხართ და უსაბუთოდ იმეორებთ იმას, რასაც თვით ისინივე ამბობენ თავიანთ თავზე. მეცა მწამს, რომ ისინი მართლა დიდი ვინმეები ბძანდებიან... მაგრამ, თქვე დალოცვილებო, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში ვსცხოვრობთ, არ იქნება ისე, უსაბუთოდ აღტაცება: უსუსურებს დაგვიძახებენ. მაშ მოდი, შრომა მივიღოთ და ჩვენი აღტაცება დავასაბუთოთ რითიმე. ღმერთმანი საბუთების ძებნა მოგვინდება თუ? თქვენ არ მომიკვდეთ! გადაშალეთ, რომელიც გინდათ, ნომერი: სულ მეცნიერება, სულ ხელის-ხელ საგოგმანებელი აზრები! დასტკბით და გაძეხით რაღა, გონებით დამშეულნო!!!

წარსულს ჩემს წერილში ხომ აღვნიშნე ერთის მსხვილ-ფეხა მეცნიერის ახალი სამეცნიერო აზრი: ტარიელი ინდოეთის მეფეს მისთხოვდა ცოლათაო. ეს ვიგემეთ, დავსტკბით. ახლა სხვა მეცნიერებზედ მოგახსენოთ.

---

ბულვარის კორესპონდენცია *)

როგორც მოგეხსენებათ, აირია ბულვარის კრებული, რაკი ჭიმია ხელუხლებელმა დააპირა გაქცევა ორის ქარისაგან, რომელთა შუა მოემწყვდა. მინამ ხელჯოხიანთა უსტაბაშმა ისე არ მოაწყო საბძანებელი ჭიმიასი, რომ ნიავიც არსაიდამ მოსდენოდა, ხალხი არ დალაგებულა. როცა ეს მოხდა, ჩიტირეკიამ თვალი უყო თავის ყურ-მოჭრილს ყმას, ხელ-ჯოხიანთა უსტაბაშს. უსტაბაშმა დაიძახა:

— შეერთებული კრება ზედა და ქვედა სალაყბოსი აწ უნდა შეუდგეს დანიშნულ საქმის განხილვას. (ხალხში: ბრავო, ბრავო! ვერ უყურებთ!) ბატონებო, თქვენ, როგორც გატყობთ, ჩემი პირწყლიანობა გიკვირთ. მართალია, აქამდე მუნჯი ვიყავ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, გაჭირება მუნჯსაც ენას ამოადგმევინებს. (ხშირი ძახილი: ბრავო, ბრავო!) აბა, ბატონებო, (ბრავო, ბრავო!) დაასახელეთ ისინი, ვინც ღირსნი არიან ბულვარის პრეზიდენტობისა. (აღტაცებული და ხანგრძლივი ძახილია: ბრავო, ბრავო! ნამეტნავად ქარაფშუტაძე ხელებს იმტვრევს ტაშისცემითა.)

ერთი ჰყვირის: ჩიტირეკია ქარაფშუტაძე. დიდიხანია თავ-დადებულად იბრძვის პირველობისა და მეთაურობისათვის და მე მგონია პრეზიდენტობა ბულვარისა მაგას ეკუთვნის, რაკი სხვაგან ველარას გამხდარა.

ჩიტირეკია. დიდის სიამოვნებით ვიკისრებ მაგ რთულს და ფრიად პასუხ-საგებელს თანამდებობას. კვეხნით არ ვიტყვი და ჩემისთანად ვერავის გაუჭრის ვერც მეცნიერების თვალი, ვერც მეცნიერების ყური. თუნდა ბაჭია კურდღელაძეს ჰკითხეთ.

ბაჭია კურდღელაძე წამოდგა, ჰოს ნიშნად რაღაც დაიღმუილა და ჩაჯდა.

მეორე ჰყვირის: ჭიმია ხელ უხლებელი. მაგისთანა ხერხიანი, გამოცდილი და მოცლილი მტკეპ"ელი ბულვარისა სხვა არა გვყავს.

ჩიტირეკია. მეცნიერება რომ გვერდით ამოვუყენოთ ამ ცხოვრების მოვლენას, რაკი მეორე კანდიდატსაც ასახელებენ, უსათუოდ საარჩევანო ყუთი უნდა დაიდგას და კენჭით მოხდეს არჩევანი ორთა შორის. (ხალხში: ბრავო, ბრავო! აი მოსწრებული ჭკუა და მეცნიერება თუ გინდათ, ამას ჰქვიან!)

ხალხში: კენჭი, კენჭი!

წურბელაძე, წევრი ქვედა სალაყბოსი: ბ-ბო, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. დღეს შეერთებული კრება ზედა და ქვედა სალაყბოსი მოწვეულია ბულვარის პრეზიდენტის ამოსარჩევად. საქმე ის არის, ვინ უნდა ამოვარჩიოთ, მერე ისიც კენჭით? ამ ჩემს საკითხს თავისი პატივსადები საბუთი აქვს. მართალია, როცა ორი კანდიდატია, მაშინ კენჭი უნდა ეყაროს ორივეს, როგორცა ბძანებს თვით მეცნიერება თვით მეცნიერ ჩიტირეკიას ბაგით. ხოლო გვავიწყდება, იმავ მეცნიერების თვალით დანახული, იმავ მეცნიერების ყურით სმენილი და ჩვენ მიერ აღტაცებით ღაღადებული ჭეშმარიტება, რომ კენჭით არჩევანები მარტო უნიჭოებს აძლევენ გზას და, რადგანაც ჩვენში „თითქმის ყველანი ნიჭიანები არიან, იმავ ჩვენთა ბრძენთაგან თქმულისამებრ, ძალიან ძნელი იქმნება უნიჭოს პოვნა ც ამორჩევა. აი რაში არის დღევანდელის დღის გაჭირვება. გლადსტონის ჰომრულის გაყვანა ინგლისის პალატაში ბევრად ადვილია, ვიდრე ერთის უნიჭოს პოვნა იქ, სადაც ყველანი ნიჭიანები არიან. რა-კი კენჭით არჩევანი იმისთანა ბუნებისაა, რომ მარტო უნიჭოები გამოჰყავს მოედანზე, არა მგონია ან ჩიტირეკია ქარაფშუტაძემ ან ჭიმია ხელ-უხლებელმა საარჩევანოდ გაიხადონ თავი.

ჩიტირეკია ქარაფშუტაძე (დაფრთხალის სახით) მე აკი წეღანვე უარი მოვახსენეთ, მე ვერ ვიკისრებ მაგ თანამდებობასა-მეთქი.

ქვედა სალაყბოს წევრი მართლაძე: უკაცრაოდ, წეღან თქვენა ბრძანეთ, მე სიამოვნებით ვკისრულობ მაგ რთულს თანამდებობასაო.

ჩიტირეკია: არა, ბატონო! მე „აღ-

*) იხილე „ზურნა", № 7, „ივერია" № 60.

ისევ და ისევ იმავ მსხვილ-ფეხა და მეცნიერ ორგანოში („კვალი“ № 13) შევხვდით ფრიად საყურადღებო ფილოლოგიურ გამოკვლევას სათაურით: „შესამეცნებელი“.

ჯერ მარტო სათაური გასინჯეთ, რა მეცნიერულია! მაგრამ ეს სახელი,—თქვენ სახრავი იკითხეთ, რა მეცნიერულია-და!

„ივერია“ რამდენჯერმე შემოგვეკითხა: რას ნიშნავს სიტყვა „ნახატებიანიო“? იმ რეცვნებს ის არ ესმით... მაგრამ ნება მიბოძეთ აქ-კი კალამი თვით მეცნიერ ავტორს გადავცე: მეშინიან მის მეცნიერულს ბჭობას მწიკვლი არ მოვცხო.

„ქართული(?) სიტყვიერების გადამახინჯება (ამბობს ავტორი „შესამეცნებელისა“!) იმ ზომამდე მივიდა ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში, იმდენად დაეკარგა ჩვენს ძველ დარბაისელს ენას თავისი კილო (ვაი, ვაი!) და შინაარსი (ეჰე?!), რომ მეტი რა ღონეა, უბრალო ქართული(?) სიტყვების ეტიმოლოგიურად ახსნაც-კი უნდა ვიტვირთოთ (საწყალი!) უმეცარების (ვითომ „ივერიისა“-ო) შასასმენად.

შემდეგ ამისა ასე გვიხსნის „ნახატებიანს“: ხატი—образъ, икона, ნახატი-рисунокъ, მხატვარი-живописецъ; «ნახატებიანი გაზეთი“-иллюстрированная газета.

აფერუმ, მეცნიერო! განმარტა, ახსნა და გაათავა.

რაკი წარმოიდგინა, რომ ახსნა და ქვეყანა დაარწმუნა, მერე მოსდგება „ივერიას“ და მამა-შვილურ დარიგებას აძლევს: არა, ჩემო კარგო, შენა სცდები, „ნახატებიანი“ ნამდვილი ქართულიაო... მაგრამ ისევ ავტორი ვალაპარაკოთ, თორემ დაგვწამებენ სიტყვების შეცვლას.

„ჩვენს ლიტერატურაშიო ენის უცოდინარობის გამო, კარგა ხანია, შემოვიდა ხმარებაში „სურათი“ „ნახატის“ მაგიერად; მაგრამ „სურათი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „სახესა“, ანუ „სანახაობასა“, ანუ გამოქანდაკებულს.... არასოდეს ხედ-მიწევნით ქართულის მცოდნე კალმით, ანუ ძუით გადაღებულს სახეს ტილოზედ ანუ ქაღალდზედ არ უწოდებს „სურათად“, არამედ „ნახატად“.

მაგრამაო, „ივერიას“ რა გაეგება ასეთის მეცნიერებისა, იმან ქართული არ იცის და მხოლოდ «ალვირ-წახსნილი უმეცრება“ ალაპარაკებსო. თუ სხვა წყარო არ იციან, ე „ჩუბინაშვილის ლექსიკონში მაინც ჩაიხედონ ხოლმეო“.

ძალიან კარგი, „ალვირ-წახსნილი“ უმეცრები ვართ, არც ჩუბინაშვილის ლექსიკონი გვინახავს და „შესამეცნებელის“ ავტორი-კი დიდი ბრძენია.

ასე არ არის? იქნება ასეც არ იყოს, მაგრამ დეე იტრაბახონ, თავი იქონ. ჩვენ საქმე გავშინჯოთ. ჩვენ ნუ დავივიწყებთ მხოლოდ, რომ თავის ქება დამპალ კიტრად არის დაფასებული.

გარნა, ვიდრე არსებითად ვუპასუხებდეთ მეცნიერს ავტორს, მოდი ერთი საგანს ფორმალურის მხრით შევხედოთ. მოგეხსენებათ, რომ თუ რომელსამე წერილს, მეტადრე საპოლემიკოს, ქვეშ ავტორის სახელი ანუ პსევდონიმი არ აწერია, იგი წერილი რედაქციას ეკუთვნის და მას გამოპასუხის მგებელი უპირველესად რედაქტორია. ასეა მიღებული ქვეყნიერობაზედ და, ვგონებთ, „კვალიც“ უარს არა ჰყოფს. ზემოხსენებულ „შესამეცნებელს“ ქვეშ არავინ აწერს ხელს, მაშასადამე, იგი სარედაქციო წერილია, მაშასადამე, რედაქტორი „კვალისა“ პატივცემული ანასტასია თ.-წერეთლისა სრული თანამოზიარეა ავტორის აზრებისა. კარგი... მაშასადამე, თვით ანასტასია წერეთლისა უკიჟინებს «ივერიას», რომ „სურათი“ არაბული სიტყვაა, არ ნიშნავს Картина-ს და უნდა ითქვას უთუოდ „ნახატებიანი“. უნდა იცოდეთო. გვეუბნება რედაქცია „ჯეჯილ-კვალისა“, რომ მხოლოდ დიდი მეცნიერი და ნამდვილი განსწავლული ხმარობს „ნახატებიანს“. მაშასადამე, იგივე ანასტასია წერეთლისა გვეუბნება: თქვე უბედურებო, ჩუბინაშვილის ლექსიკონში მაინც ჩაიხედავდით და იქიდამ სცნობდით, რომ „სურათებიანი“-კი არ უნდა ითქვას, არამედ „ნახატებიანი“-ო.

ეს სულ ძალიან კარგი, მაგრამ იგივე ანასტასია წერეთლისა ჰპექდავს ჟურნალს „ჯეჯილს“, რომელსაც აწერია: „სურათებიანი(!!!) საყმაწვილო ჟურნალი“.

ახლა მიბძანებთ: რომელ შემთხვევაში ბძანებს მართალს ქ-ნი ანასტასია წერეთლისა? როგორც რედაქტორი „კვალისა“ ბძანებს, რომ „ნახატებიანი“ უნდაო და ამის მოწინააღმდეგე „ალვირ-წახსნილი“ უმეცარიაო; როგორც რედაქტორი „ჯეჯილისა“ იგივე ანასტასია წერეთლისა (საკვირველებავ!) ღაღადებს: „სურათებიანი“ უნდაო და აგერ რამდენი წელიწადია ასეც ვაწერ ჟურნალსაო.

უკაცრავად მსხვილ-ფეხოპასთან, და მე ეს ვერ გამიგია. ან რას გაიგებს უმეცარი კაცი!

ახლა განვიხილოთ უსახელო ავტორის სიბრძნე არსებითად... მაგრამ უკაცრავად, ჯერ ერთი დიდსა და მსხვილ ტყუილშიაც დავიჭიროთ ჩვენი მეცნიერი. ამბობს, თუ ჩუბინაშვილის ლექსიკონში მაინც ჩაიხედავდენ ჩ იქ იპოვიდენ „ნახატებიანსაო“.

ჩავიხედეთ, გავშინჯეთ და ვერ ვპოვეთ „ნახატებიანი“. ვისაც არა სჯერა ჩემი სიტყვა, ვსთხოვ ჩაიხედოს, გაშინჯოს და თავის ბედნიერის თვალით დარწმუნდეს, რომ მსხვილ-ფეხოპას მსხვილი ტყუილებიცა სცოდნია. ჩუბინაშვილს აქვს: ხატი, ნახატი. ამ სიტყვების არსებობა ყველამ იცის. ჩვენ ვამბობთ, არ არსებობს სიტყვა „ნახატებიანი“ და არა „ხატი“ და «ნახატი».

და რომ არ არსებობს, ეს ცხადია, არა, ცხადზედ უფრო უცხადესია, რაიცა სჩანს შემდეგის მაგალითებიდამ:

| | არ ითქმის: |
|---|---|
| წერა—ნაწერი | ნაწერებიანი |
| კითხვა—ნაკითხი | ნაკითხებიანი |
| ხვნა—ნახნავი | ნახნავებიანი |
| წოლა—ნაწოლი | ნაწოლებიანი |
| დენა—ნადენი | ნადენებიანი |
| ცნობა—ნაცნობი | ნაცნობებიანი |
| კოცნა—ნაკოცნი | ნაკოცნებიანი. |

აი სწორედ ამ საბუთითვე ითქმის: „ხატვა“, „ნახატი“ და „ნახატებიანი“-კი აღარ. გაიგეთ, მეცნიერო? ჩვენც ამ „ნახატებიან“-ზედ გელაპარაკებით და არა იმაზედ, რომ „ნახატი—рисунокъ და „მხატვარი“—живописецъ-ია.

მაინც-და-მაინც საიდამ შეთხუზეს უცნაური სიტყვაო? იქნება იკითხოთ. აი საიდამ. ზემოდ ჰნახეთ, რომ ამ გვარი სიტყვა ზმნისაგან არ წარმოობს, გარნა სახელის არსებითისაგანკი შესაძლოა ვაწარმოვოთ „ნახატებიანის“ მიგვარებული ლექსი.

მაგალითად:

| | | |
|---|---|---|
| გომი | ნა-გომარი | ნა-გომრებიანი |
| სახლი | ნა-სახლარი | ნა-სახლარებიანი |
| ტახტი | ნა-ტახტარი | ნა-ტახტრებიანი |
| კალო | ნა-კალოარი | ნა-კალოვრებიანი |
| ორმო | ნა-ორმალი | ნა-ორმოებიანი |

აგრეთვე არსებითის სიტყვიდამ „ხატი“ (და არა „ხატვა“) შესაძლოა ზემო-მაგალითების მიხედვით ვაწარმოვოთ: ხატი—ნახატარი—ნახატრები—„ნახატრებიანი“.

იქნება ეს სიტყვა გეხამუშოთ გასაგონადა, ეს შესაძლოა, გარნა სრულიად კანონიერად ნაწარმოებია.

ხოლო რას ნიშნავენ ყველა ეს „ნაგომრებიანი“, „ნაორმოებიანი“? ყველა იგინი აღნიშვნენ ადგილს, სადაც გომები, სახლები, ტახტები, კალოები ყოფილა და აწ-კი აღარ არის. მებრვე „ნახატარი“ აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ხატი იყო, „ნახატრებიანი“-ც ამასვე აღნიშნავს მრავლობითს რიცხვში.

„ნახატებიანი“-კი არ არის ქართულ ენაში; თუ იგი ჰნიშნავს «ნახატრებიანს», მაშინ გამოვა, რომ «კვალი» უსურათებო, უხატებო ჟურნალია ესე იგი, ისეთი ჟურნალია, საცა ხატები ყოფილა და ეხლა აღარ არის.

ეჰ, მე რაღას ავხირდი: იქნება სწორედ ამის თქმაც ჰქონიათ სახეში. მართლაც, «კვალის» ნახატებს მხოლოდ დიდის ბოდიშის მოხდით თუ შეიძლება ვუწოდოთ სურათები!

პაატა

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სიღნაღი**, 1 აპრილი. ჩვენკენ ისევ მარხვაა. არა თუ ჩვენსკენ, მთელს შიდა-კახეთშიაც მარხვაა, იმიტომ რომ, არა თუ ხორცი და სხვა ამისთანა ნუზლი და სანოვაგე, პურიც არ არის. არც პურია და არც ფული! ვალადაც არავინ გვენდობა. ვისაცა აქვს, სულსა გვხუთვენ და აღარას გვაძლევენ: გვეყმეთ, მანათში ორი მანათი მოგვეცით და წაიღეთო. საშინლად გაძვირდა ცხოვრება, დაეცა ნდობა. ამ აღდგომა დღეს ნაასალმა ვერ გაიხსნილა პირი. ბატკნის ხორცი გირვანქა იყიდებოდა 20 კ., ცხვრისა—ორ შაურ ნახევრად, ძროხისა—ორ შაურად. ყოველ გვარ სანოვაგეს ცეცხლი ედება. ყველი გირვანქა 30—40 კაპ., თევზი 30—40—45 კაპ., გამამცხვარ პურს ნულარ მკითხავთ. ოთხი პაწაწა შოთი 20 კ. ეს ორი თთვეა თითქმის რაც ხალხი ბალახეულსა სჭამს და იმით გამოდის იოლად. ბოლოკაო, ჭინჭარიო, ხაჭიჭორა, კვაბრჩხილა, ხბო-შუბლა, მხალი, ჭინჭრის დედა და სხვა ამისთანა ბალახ-ბულახი. მამასახლისები მარტო თავიანთ მუცელს ჩასტირიან და ვერ ამოუვსიათ. აგერ მარტის ნახევრიდგან ჩვენსკენ დიიწყო სოფლის მამასახლისების არჩევანების ციებ-ცხელება: გლეხ-კაცობა დაუახლოვდა თავად-აზნაურობას და თავად-აზნაურობა გლეხ-კაცობას, მომეტებულ სოფლებში სულ თავადები ამოირჩეს მამასახლისად ჯამაგირით და როგორ გაამართლებენ ამ ნდობას და დაახლოვებას ეს ახალი არჩეულები, ამას დრო და ჟამი გვიჩვენებს. მაგრამ დიდი გამჭრიახობითა და მოძმეთა სიყვარულით გამსჭვალული კაცი უნდა იყოს, რომ ეხლა სოფელი დაიხსნას გაჭირვებისაგან. გაჭირვებაც ეს არის, რომ სოფლებს კარგა ბლომა ფული აქვთ ბანკში $4^{0}/_{0}$-ით და თვითონ-კი $50^{0}/_{0}$-დაც ვერა შოულობს; სასურველია, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს უმაღლესმა მთავრობამ და ნება დართოს სოფლებს, თავისი თითონ მოიხმაროს ამ გაჭირვების დროს.

რაზმაძე

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ «Нов. Обоз»-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ნ. ნიკოლაძისა სათავად-აზნაურო სკოლების შესახებ. მოგვყავს შემოკლებით შინაარსი ამ წერილებისა.

აგერ თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ქართველი საზოგადოება გაფაციცებით ბაასობს იმის შასახებ, თუ როგორი სისტემა სჯობია სწავლისა, რათა ეს სისტემა იქმნას შემოღებული სათავად-ეზნაურო სკოლაშიაო. ამ საქმის გადასაწყვეტად თითქმის ყოველ წელიწადს იკრიბება პედაგოგთა კომისია. ამ საქმესვე განიხილავს ხოლმე თავად-აზნაურთა კრებაც. ასეა საქმე აგერ თხუთმეტ წელიწადზედ მეტი, და სათავად-აზნაურო სკოლის ბედის ასე თუ ისე გადაწყვეტამ-კი მაინც იოტის ოდენად წინ ვერ წაიწია. რა არის ამის მიზეზი? აი რა. იმის მაგიერად, რომ ვიზრუნოთ და ვიბაასოთ, რა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, რა უფრო საჭიროა და რას უფრო ადვილად მივაღწევთ, ეს კომისიები და კრებანი ამდგარან და იმაზედ ჰბჭობენ, რა უფრო კარგიაო, კლასიკური განათლება, თუ რეალურიო. ჯერ ერთი რომ,—ქართული ანდაზისა არ იყოს, „მჯობზე მჯობი არ დაილევაო“,—რა საჭიროა ჩვენთვის ბაასი იმაზედ, „რა სჯობიან“, კლასიკური განათლება, თუ რეალური? ამ საქმის შესახებ შეიძლება ას წელიწადს ვიბაასოთ, ვიკამათოთ და მაინც ვერას გადავწყვეტავთ. ამაზედ იმდენი უბაასნიათ, რომ მთელი ტომები შესდგება. ან რა საჭიროა ჩვენთვის ამაზედ კამათობა? ეგ ხომ იმას ეგვანება, რომ მამა, რომელსაც ორიოდე გროში ებოვება შვილების სწავლამ თავისებური განმარტება წარმოადგინა.

---

სარებასა“ ვსდებ, რომ თქვენ ჩემი სიტყვა ვერ გაგიგიათ. აი, ბ-ნებო, ბაჭია გვერდთ მიზის და ორნიც უკან მიდგანან: ქერა ფირფიტაშვილი და ყელ-ყელა ჭორ-ჩხავანოვი, თუნდ ამათა ჰკითხეთ.

ბაჭია წამოიტუზა, რაღაც დაიღმუილა და ჩაჯდა.

ქერა ფირფიტაშვილი: ტყუილს ვერ ვიტყვი. მართალია, წელან იკი რა. ჩიტირეკია. ამისი სიტყვა დასაჯერებელი არ არის, ხომ მოგეხსენებათ, პატარა მშიშარა კაცია და ყველას უფრთხის.

ყელ-ყელა ჭორ-ჩხავანოვი. რასაც აბრალებენ, ეგ არ უთქვამს.

ხელ-ჯოხიანთა უსტაბაში: ბრავო, ბრავო! (თითო-ოროლა-კი მხრებს იწევს გაოცებით, ჩიტირეკიამ რომ ასეთი ცოცხალი აშა ჰკრა უსირცხვილოდ).

ჭიმია ხელ-უხლებელი. მე უარს გეუბნებით. დიდი სულელობა მოუვიდა და ქვეყნის მოღალატეა, ვინც მე დამასახელა არჩევანისათვის, თუ-კი მეცნიერებას არჩევანების ბუნება ეგრე გამოუკვლევია.

ერთი ზედა-სალაყბოს წევრი: მაშ რა ვქნათ? ისე ხომ ვერ დავიშლებით, რომ ეს დიდი საქმე არ გავათავოთ. უპრეზიდენტოდ დაგდება ბულვარისა ქვეყნის ღალატია. ჩვენში მართლა ძნელია უნიჭოს პოვნა. ყველანი ნიჭიერნი ვართო, ეს იმისთანა კაცმა სთქვა, რომლისაგანაც სიზმარიც დასაჯერებელია. ამ ორ წყალშუა დგომას ერთი წამალი აქვს: ერთი უნიჭო კაცი სხვას რომელსამე ერს ვესესხოთ. თუ ჩვენში უნიჭონი არ არიან, მადლობა ღმერთს, სხვაგან ხომ ბევრია.

მეორე ზედასალაყბოს წევრი: არა, სესხად კაცის შოვნას მე არ გირჩევთ. მე ვიცი, მაგ სესხის კონვერსია, მერე საჭიროდ გაგვიხდება და მაშინ ნახეთ ჩვენი ჰაპან-წყვეტა; დაიხვევენ ამ კონვერსიას ხელზე და ტყავს გაგვაძრობენ.

ჩიტირეკია. რომ კონვერსია მოგვიხდება, ამაზე ეჭვი არ არის და, სწორედ მოგახსენოთ, მეც ეგ მინდა. როგორც სამსონის ღონე თმებში იყო, ისე ჩემი ძალ-ღონე კონვერსიაშია. დღეს თუ კიდევ ვიხსენები სადმე, მაგ კონვერსიის წყალობით ვიხსენები, იმიტომ-რომ მარტო მაგ ბევრისათვის გაუგებარ სიტყვით შესაძლოა წყალი ვამღვრიოთ და თევზები დავიჭიროთ ხოლმე. მე თანახმა ვარ ვისესხოთ კაცი და კონვერსია ჩემი კისერი იყოს.

(ხელჯოხიანთა უსტაბაში: ბრავო, ბრავო!)

ბაჭია ჰოს ნიშნად წამოდგა, რაღაც დაიღმუილა და ჩაჯდა.

(შემდეგი იქნება)

---

### გასართობი

მე მითხრეს, რომ შენ უჩივი ივანე პეტრეს ძეს. რათაო?

— წარმოიდგინეთ, ვირი დამიძახა!

— ბიჭო, და მე რომ გეძახი, რატომ არა გწყინს?

— შენი საქმე სულ სხვაა... შენ მე პატარაობითვე მიცნობ.

— ჰმმ!..

—

— წარმოიდგინეთ, რა უბედური ვარ, ჩემო თეკლე; ერთ დღეს შინ არა დგება ჩემი ქმარი, სულ აქეთ-იქით დადის.

— ჩემო მტრედო, ეგ უბედურება-კი არა, დიდი ბედნიერებაა. აი უბედური მე ვარ, რომ ჩემი ქმარი სულ შინა ზის კრუხივით.

—

ერთ საზოგადოებაში კახურსა და ქართლის ღვინოზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. ყველამ თავისებური განმარტება წარმოადგინა. ერთმა ღვინის მოტრფიალე ყმაწვილმა კაცმაც თავისი აზრი ასე გამოჰხატა:

— რა ბევრს ლაპარაკობთ, კახური ღვინო ფილოსოფიური ტრაქტატია, და ქართლური-კი—ფრანგული რომანი.

---

### განცხადება

მიგვიცია ქილაქი იმისთვის, ვინც გამოიცნობს, რა უნდა ეთქვა ავტორს ასეთის ტირადისას: „ტალანტი ანუ გენი, რომლებიც შესამჩნევ კვალსა სტოვებენ კაცობრიობის განათლების ისტორიაში, არიან შედეგნი სხვა-და-სხვა საზოგადოებური პირობებისა, რომლებიც შორს იტოვებენ ფიზიოლოგიურს წრეს და გვასაქმებენ თავიანთ ნებაზე პირველზე დამოუკიდებლად“. (იხ. „მწყემსი“, № 4, გვ. 10). (1—1)

რედაქტორები: კუპრია და ადიკო

ლა-განათლებისთვის, დაბძანდეს და დიდს თათბირს შეუდგეს: ჩემი შვილები დესპანებად გავზარდო თუ ადმირალებადაო.

ჩვენ სათავად-აზნაურო სკოლას დიდ საქმეს არავინა სთხოვს; საჭიროა მხოლოდ, ამ სკოლამ ისე მოამზადოს ყმაწვილები, რომ აქედგან შემდეგ საშუალო სასწავლებლებში მიიღონ. მერე როგორ ასრულებს ამ საქმეს?

ბ-ნ ნიკოლაძეს მოჰყავს ცნობები, სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლის შესახებ და ანგარიშიც, რამდენს ყმაწვილს უსწავლია ამ სკოლაში, რამდენი მათგანი მიუღიათ გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებელში, რა დამჯდარა ამ ყმაწვილების მომზადება და სხ. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ რაც ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა დაარსებულა, ამ სკოლის შენახვად დახარჯულა სულ 400,000 მანათი. ამავე დროს განმავლობაში სათავად-აზნაურო სკოლიდგან სხვა სასწავლებლებში მიუღიათ სულ 79 ყმაწვილი; მაშასადამე, თითო ყმაწვილის მომზადება სხვა სასწავლებლისთვის დამჯდარა 5,063 მანათამდე. ამ ანგარიშში ითვლება ის ყმაწვილებიც, რომლებიც გიმნაზიის პირველსა და მეორე კლასში მიუღიათ. რომ ვიანგარიშოთ, რამდენი ყმაწვილი მიუღიათ მეორე და უფრო მაღალ კლასებში, აღმოჩნდება, რომ ასეთ ყმაწვილების მომზადებისთვის სათავად-აზნაურო სკოლას დაუხარჯავს თითოზედ 16,000 მანათი და იმ ყმაწვილებზედ, რომლებიც მესამე და უფრო მაღალ კლასებში მიუღიათ, თითოზედ დახარჯულა 40,000 მანათამდე.

მერე დანარჩენ ყმაწვილებს რა ბედი ეწვია! თუ სხვა სკოლებისთვის ვერ მოამზადეს, ისწავლეს მაინც იმდენი რამ, რომ ცხოვრებაში გამოადგეთ? სრულიადაც არა. არავის არაფერი ცოდნა არ შეუძენია. უსწავლიათ ერთი კიკნა არითმეტიკა, ერთი კიკნა გეოგრაფია, ერთი კიკნა გრამატიკა და სხვ. სულ ასეთი კიკნები, რომლებიც არც თვით ყმაწვილისთვის და არც არავისთვის არ გამოდგება.

ერთის სიტყვით, იმის მაგიერად რომ ეს მოწაფენი საშუალო სასწავლებლისთვის მოემზადებინათ და შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში მიეღოთ, უმეტესი ნაწილი ისე გამოდის ამ სკოლიდგან, რომ თვით ეს სწავლა სძულდებათ და შემდეგ ზოგიერთ წიგნიდგან ამოგლეჯილი სტრიქონები-ღა ახსოვთ.

ყველაზედ სავალალო აქ ის არის, რომ ყმაწვილების მამები წინად ზრუნავდნენ შვილთათვის. დაიბადებოდა თუ არა ბავშვი, მამა იმ წამსვე კანდიდატად ჩააწერინებდა რომელსამე პანსიონსა, ან კორპუსში. წამოიზრდება ყმაწვილი, გახდება 8—10 წლისა და ჰხედავ, ან ტფილისის კორპუსში მიუღიათ, ან ვორონეჟისა, ან პეტერბურგისაში.

ეხლა? ეხლა მამა, სრულიად არა ზრუნავს თავის შვილის სასწავლებელში მიღებაზედ. გახდება ყმაწვილი 8 წლისა, ჩამოიყვანს ქალაქში, მიაბარებს სათავად-აზნაურო სასწავლებელში, დაბრუნდება შინ და ელოდება, აცა ჩემი შვილი ისწავლის, შემდეგ კარგს ალაგს მიიღებს, დაბრუნდება და სიბერის დროს გამახარებსო. ის-კი არა თუ, ცოტა ხანს შემდეგ ყმაწვილი შინა ბრუნდება, „შენი შვილი გიმნაზიაში ვერ მივაღებინეთო“...

მიზეზი ამ სავალალო ამბავისა შემდეგია. სათავად-აზნაურო სკოლა დაარსებულია იმისთვის, რომ გიმნაზიებისთვის ყმაწვილები მოვამზადოთო. მერე რამდენ ყმაწვილს მიიღებენ გიმნაზიაში? რასაკვირველია იმდენს, რამდენისათვისაც ვაკანსია აღმოჩნდება... წელიწადში 25—40 ათას მანათსა ჰხარჯავენ და მერე რისთვის? იმისთვის, რომ წლის გასულს 5 ან 6 ყმაწვილი მიიღონ გიმნაზიის დაბალ კლასებში. ვსთქვათ, ამ 5—6 ყმაწვილმა გიმნაზიაც გაათავეს. რა ბედი მოელით? დიდი ბედნიერება იქნება, თუ მერე, დიდის ხნისა და დიდის შრომის შემდეგ, სადმე კანცელარიაში სტოლ-ნაჩალნიკობა ეღირსათ. მერე ღირს ამისთვის ამოდენა ფულის ხარჯვა? განა ისე მდიდრები ვართ? ამ 5—6 ყმაწვილთა შორის გიმნაზიაში იქნება მხოლოდ ერთმა ისე კარგად დაამთავროს სწავლა, რომ უმაღლეს სასწავლებელში მიიღონ. და აი ამ ერთის ყმაწვილის გულისთვის ამოდენა ფული იხარჯება. მაშ რასა ჰგავს ასეთი სწავლა თუ არ ლატარიას. აუარებელი ფული იხარჯება მხოლოდ იმ განზრახვით, რომ იქნება ბოლოს ერთს მაინც ერგოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-განათლების მიღებაო.

# დეპეშა

2 აპრილი

**პეტერბურგი.** გუშინ ლივადიაში მათ იმპერატორებით უდიდებულესობამ სერბიის დედოფალი ნატალია მიიღეს და საუზმედ მიიპატიჟეს.

1 აპრილიდან ახალ ტარიფით უნდა იგზავნებოდეს რუსეთის რკინის გზების სადგურებიდან ბელგიისა, საფრანგეთისა, ნიდერლანდებისა, ავსტრიისა და გერმანიის უმთავრეს სადგურებამდე: სელი, მატყლი, კანაფი, და კანაფ-სელის ნართი.

**ვენა.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ სტამბულოვის ყურადღება იმას მიაქცია, რომ ამას იქით ბოლგარიას მხოლოდ მაშინ უნდა ჰქონდეს ავსტრიის იმედი, თუ თვითონ მტკიცედ დაიცავს ყოველ ხელ-შეკრულობას.

კოლინში ორი დღე და ღამეა, რაც ებრაელების წინააღმდეგ უწესოება ხდება. ელბიდან (მდინარეა) გამოიტანეს დამრჩვალი პატარა ქალი, ქრისტიანი, რომელიც ებრაელთან თურმე მოსამსახურედ იყო; ტანი გასინჯეს და აღმოჩნდა რამდენიმე ჭრილობა, რომელიც მახვილისაგან უნდა იყოს. ამბობენ, ვითომც სარწმუნოებრივი მკვლელობა იყოს. რამდენს მე ებრაელს სცემეს და სახლის ფანჯრები ჩაულეწეს; 18 კაცი დააპატიმრეს და კოლინისკენ ჯარებსა ჰგზავნიან.

**ბრიუსელი.** მუშათა დასმა დაჰბეჭდა ახალი წერილი მუშებისადმი, ყველა მუშებმა ერთად ხელი აიღოთ მუშაობაზეო. ნაშუადღევს პალატის ახლო-მახლო უწესოება მოხდა, 2 კაცი დაიჭრა. კუარენიონში 3000 გაფიცულ მუშებმა ჯებირი ამართეს; ჟანდარმებმა იერიში მიიტანეს და თოფს ჰაერში სცლიდენ, ერთ ჟანდარმს, ცხენიდან ჩამოვარდნილს, ხალხმა უწყალოდ სცემა; 5 კაცი დააპატიმრეს, რამდენიმეც დაჭრილია.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გრეიმ გამოაცხადა, რომ მთავრობას არავითარი ცნობა არ მიუღია იმის შესახებ, ვითომ სომხები დაეხოცოთ ამას წინად ოსმალეთში; მაგრამ ოსმალეთის მთავრობას თავის ქვეშევრდომი სომხები ბევრი დაუპატიმრებია ამბოხებისათვის. მთავრობა დაარწმუნა ოსმალეთმა, რომ ყველა დაპატიმრებულ სომეხს ამნისტია მიეცემაო იმათ გარდა, რომლებიც პროკლამაციას ავრცელებენო, მაგრამ იმათაც ჩვენებას ჩამოვართმევთ მართებულად, როგორც სამართლიანობა მოითხოვსო. ბოლოს გრეიმ სთქვა, რომ მთავრობა ვერ მიჰმართავს სახელმწიფოებს, კონფერენცია მოვახდინოთ სომხების მდგომარეობის გამოსარკვევადაო.

აპრილი 3

**ბელგრადი.** მეფე ალექსანდრემ გამოაცხადა პროკლამაცია: რადგან კონსტიტუციისა და ხალხის უფლებების დარღვევა განუზრახავთ, ამიტომ მე თვითონ ვკიდებ ხელს ქვეყნის მართვა-გამგეობას და რეგენტები გადამიყენებიაო. შესდგა რადიკალთა სამინისტრო დოკიჩის თავმჯდომარეობით. ქალაქი მორთულია ბაირაღებით. საღამოს რეგენტები და მინისტრები ვახშმად მიპატიჟებულ იყვნენ სასახლეში; ვახშმის გათავების დროს მეფე ალექსანდრემ მადლობა უთხრა რეგენტებს შრომისათვის და გამოუცხადა, რომ ამას იქით მე ვიტვირთებ ქვეყნის მართვასაო. რეგენტებმა პროტესტი განაცხადეს; მაგრამ სასახლის მარშალმა რეგენტები და მინისტრები ცალკე ოთახში შეიხმო, სადაც ისინი აქამომდე იმყოფებიან. ხალხი დიდად მოხარულია, სასახლის-წინ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბება და სიხარულს აცხადებს. მეფე ალექსანდრემ აივნიდგან მადლობა გამოუცხადა ხალხს ერთგულობისთვის და უთხრა, ამას შემდეგ თვითონ მე ვიქნები დამცველი კონსტიტუციისა და ხალხის უფლებათაო. მეფე ეკკლესიისკენ წავიდა და ხალხიც თან მისდევდა. კაბინეტი ესე შესდგა: დოკიჩი —მინისტრთა თავმჯდომარე და საერო განათლების მინისტრი, ფრანასოვიჩი —სამხედრო, ვუიჩი—ფინანსებისა, მილოსლავლევიჩი—შინაგან საქმეთა, ანდრონიკოვიჩი—გარეშე საქმეთა მინისტრი და იუსტიციის სამინისტროს გამგებელი, პოდპოლკოვნიკი სტანკოვიჩი—საზოგადო საშუშაოთა, რაშა-მილოსევიჩი—ვაჭრობის მინისტრი.

გუშინ რადიკალთა დასის დეპუტატებმა დაბეჭდეს იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ მთავრობა კონსტიტუციის წინააღმდეგ იქცევოდაო და შემდეგ თავ-თავიანთ სახლში წავიდნენ.

**ვენა.** აქაურ გაზეთებმა სერბიაში მომხდარი წეს-რიგის ცვლილება სამშვიდობო ამბად აღიარეს. რეგენტების და ლიბერალთა დასის ძალ-დატანებითი მოქმედება სერბიაში შინაურ რევოლიუციას გამოიწვევდაო, ეხლა-კი ახალგაზდა მეფის გამბედაობამ ბოლო მოუღოვო.

გუშინ სტამბულოვი ყელის ანთებით გახდა ავად.

**პარიჟი.** სასტუმრო ვერის აფეთქების საქმისა გამო მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ფრანსუა და ქალი დელაგე გაამართლა, ხოლო ბრიკუს გარდუწყვიტა კატორღაში მუშაობა 20 წლით.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,70 | 7,73 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 153 3/4 | 154 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 220 |
| 4% მესამე სესხისა | 99 3/8 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | 102 | — ,, |
| 5% | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 102 | — ,, |
| 5% | — ,, | 100 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99 1/4 | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსად გურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—38)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთა I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფიასა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.